ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
SAKREBULO OF BATUMI CITY MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **15-15210431**
თარიღი: **12/02/2021**
პინი: **8775**

ადრესატი: ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პირადი ნომერი: 62011003485
მისამართი: გუდაუთა ს. ლიხნი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
ფაქტ-მეტრის (www.factchck.ge) ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
(მისამართი: ქ.ბათუმი, წერეთლის ქ.N6, ბ.N43
მობილური: 557 20 00 01
პ/ნ 62011003485)

ქალბატონო ნაზიბროლა,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (№03-15210126) დარეგისტრირებული თქვენი წერილის პასუხად (ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com-ზე), გეგზავნებათ საჯარო ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით დასახული ამოცანებიდან განხორციელებული ან/და განუხორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, თანახმად დანართისა.

ასევე გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით დასახული ამოცანებიდან 2020 წლის საკითხები ეპიდმდგომარეობიდან გამომდინარე ჩაანაცვლა საკითხებმა, რომელთა შინაარსიც განსაზღვრა იმ საჭიროებებმა, რაც იკვეთებოდა მოქალაქეების მხრიდან. კერძოდ:

1. უსტატუსო მარტოხელა დედების, რომელთაც ვერ შეეხო მუნიციპალური თუ სამთავრობო პროგრამები, სასურსათო კალათით მხარდაჭერა - საბჭოს საკუთარი სახსრებით.

2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციართა შვილების ტანსაცმლითა და საკანცელარიო ნივთებით მომარაგება - საბჭოს საკუთარი სახსრებით; (საჭიროების შემთხვევაში საბჭოს გამოცხადებული ქონდა მზაობა პირველადი საჭიროების ნივთებითა და პროდუქტით ბენეფიციარის მომარაგებისთვის, ვისაც უწევდა თავშესაფრის დატოვება).

3. ხანძრით დაზარალებულ მრავალშვილიანი ოჯახის სასურსათე კალათითა და ჰიგიენური ნივთებით დახმარება - საბჭოს საკუთარი სახსრებით;

4. თვითდასაქმებული ქალების, ვინც ხელნაკეთი ნივთების დამზადებით იყო დაკავებული და არ ქონდათ ონლაინგაყიდვების გამოცდილება, ჩაუტარდათ უფასო ტრენინგი: ონლაინმარკეტინგისა და digital communication მიმართულებით - IRI -ს სახსრებით.

შესაბამისად, გლობალური პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს შესასრულებელი საკითხები გათვალისწინებული იქნება 2021 წლის სამოქმედო გეგმაში.

დანართი: 23 ფურცელი.

პატივისცემით,

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი